დავით ტვილდიანის

სამედიცინო უნივერსიტეტი

ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა და შედეგების გამოყენების ანგარიში

თბილისი

ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა და შედეგების გამოყენების ანგარიში

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველწლიურად რექტორის საბჭოზე წარადგენს ხარისხის თვითშეფასების ანგარიშს რეკომენდაციებით, რომლის მომზადებას საფუძვლად უდევს რელევანტური ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი. ინფორმაცია გულისხმობს სხვადასხვა ფორმის გამოყენებას, ხარისხობრივი და რაოდენობრივი მონაცემების ჩათვლით: მაგალითად ინსტიტუციური მონაცემების მიღება, უკუკავშირის შეგროვება კითხვარების და ფოკუს ჯგუფებთან კომუნიკაციით. ანალიზისა და შეფასებისთვის იყენებს სხვადასხვა სახის ინდიკატორებს: ინდიკატორები გამოყენებადი ლეგიტიმაციისთვის (ანგარიში აქტივობების შესახებ), შეფასებისთვის (შედეგების მონიტორინგის), დისკუსიისთვის (მონაცემთა ინტერაქტიული გამოყენება) და გადაწყვეტილების მიღებისთვის (მონაცემთა გამოყენება პროცესის გასაუმჯობესებლად).

უნივერსიტეტის მხრიდან რეკომენდაციების გამოყენება ხორციელდება (დტსუ) პროგრამათა და სხვა აქტივობების ეფექტური მენეჯმენტისთვის.

ხუ სამსახურის მიერ მიწოდებული რეკომენდაციების უმრავლესობა აისახება უნივერსიტეტის საქმიანობაში სხვადასხვა მიმართულებით:

- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეფასების (2015/2016 სასწავლო წლის) შედეგებზე დაფუძვნებით შემუშავებული (რომელიც დამტკიცებული იყო 2016 წელს) უნივერსიტეტის ახალი სტრატეგიული გეგმა;
- ✓ ავტორიზაციის ახალი სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინებით ადაპტაციის მოთხოვნის შედეგად გადამუშავებული განახლებული სტრატეგიული გეგმა და სამოქმედო გეგმა (დადასტურება: დტსუ სტრატეგიული სამოქმედო გეგმა და სამოქმედო გეგმა, დამტკიცებული 2017 წელს);
- ✓ სპეციალურ ტრენინგ კურსი პედაგოგიკაში, რაც შემუშვებულია და მიეწოდება (ჯერ მხოლოდ დოქტორანტებს) სამედიცინო განათლების ცენტრის (სგც) ბაზაზე (დადასტურება: სილაბუსი „პედაგოგიკა“, დოქტორანტებთან ჩატარებული შეხვედრები);
- ✓ ხარისხის შეფასების 2015/2016 სასწავლო წლის შეფასებით მოთხოვნილი კურიკულუმის (დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის საბაზისო სწავლების ეტაპის) რევიზირება (დადასტურება: სამუშაო ჯგუფის ანგარიში);
- ✓ დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის მეციერების კურსის გაძლიერება 2 მიმართულებით: (1) სასწავლო კურსის რევიზირება და ახალი სასწავლო ფორმატის შემოტანა და მისი (სამეცნიერო კომპონენტის) განვითარება (2) ორგანიზაციული გაძლიერების თვალსაზრისით [დადასტურება სილაბუსები: სამეცნიერო კვლევის საფუძლვები 1 („ჯორნალ ქლაბის ფორმატში), სამეცნიერო კვლევის საფუძვლები 2 („ჯორნალ ქლაბის ფორმატში), სამეცნიერო კვლევის საფუძვლები 3 (ფოკუსირებული კვლევის ეთიკის საკითხებზე და ცვლილება განიცადა მხოლოდ ანტიპლაგიარიზმის სისტემის ტექნიკური გამოყენების სწავლების ნაწილში), სამეცნიერო პროექტების წერა - შემუშავებულია და პილოტირებულია ერაზმუს+-ით დაფინანსებული “PACT“

პროექტის ფარგლებში; ასევე კურსის განვითარების მიზნით ჩატარებული სამუშაო, რევიზირებული სამეცნიერო კურსები, მისი ეფექტური ჩატარებისთვის სტუდენტთა დამხმარე საინფორმაციო სახელმძღვანელოები და სამეცნიერო ტუტორთა მომზადების კურსი (სგც ანგარიშები, შეხვედრების ოქმები).

- ✓ დოქტორანტთა მომზადებაში უცხოელი ექსპერტების თანამონაწილეობის გაზრდა (დადასტურება: გაფორმებული თანახელმძღვანელობაზე 5 ხელშეკრულება)
- ✓ სტუდენტთა აზრის კვლევის -„სად“ და „რა დონეზე“ ეუფლებიან დმ პროგრამის სტუდენტები ღირებულ პროფესიულ უნარ-ჩვევებს - შედეგების წარდგენა პროგრამის საბაზისო სამედიცინო მეცნიერებების აკადემიურ პერსონალისა და სტუდენტებისათვის (დადასტურება: შეხვედრების ანგარიშები)
- ✓ სპეციალური ფორმებით სტუდენტთა მიერ ჯგუფში მუშაობისას თვით- და ურთიერთ-შეფასებისთვის კვლევის შედეგების გაცნობა PBL სწავლებაში ჩართული და ასევე დანარჩენი აკადემიური შტატისთვის; კვლევის შედეგების სარგებლი ტუტორისთვის უკუკავშირის მიღებასა და შეფასებაში განვითარებისთვის (დადასტურება: კვლევის ანგარიში)
- ✓ დტსუ-სა და ევროპის სამედიცინო განათლების შემფასებელთა ჯგუფს (EBMA) შორის და მის წევრებთან შეხვედრა, მათი წარმომადგენლების მიერ ტრენინგის ჩატარება, დტსუ სტუდენტებისთვის ტესტირების ჩატარება და ანგარიშის მოწოდება (დადასტურება: ტრენინგის ანგარიში, ტრენინგის კმაყოფილების შესახებ ანგარიში, EBMA-ს მხრიდან ჩატარებული ტესტირების შესახებ ანგარიში რეკომენდაციებით)
- ✓ ბიბლიოთეკის შესახებ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეების შესახებ ინფორმციაზე ადმინისტრაციის მხრიდან სწრაფი რეაგირება (შესაძლებლობის ფარგლებში) დადასტურება: სტუდენტთა გამოკითხვის ანგარიში; რეაგირების შედეგები.
- ✓ საკანონმდებლო მოთხოვნებთან ადაპტაციის მიზნით დტსუ მარეგულირებელ დოკუმენტებში ასახული ცვლილებები, გამოცემული ბრძანებები; მაგ: სწავლას, კვლევასა და სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობაში აკადემიური კეთლსინდისიერების დაცვის კონცეფციის შემუშვება (დტსუ-ს მიერ შეძენილი ახალი რესურსის - ინტერნეტზე დაფუძვნებული პლაგიატის პრევენციის სერვისი - ტურნიტის პროგრამის გათვალისწინებით); შესაბამისი ცვლილებები შევიდა სტუდენტთა შინაგანაწესში, აკადემიური პერსონალის შრომით შინაგანაწესში, ადმინისტრაციის თანამშრომელთა შრომით შინაგანაწესში; სადისერტაციო საბჭოს დებულებაში; დოქტორანტთა პროგრამისთვის რევიზირდა არსებული და/ან შემუშავდა ახალი ფორმები; ასევე ერთ დოკუმენტად შეიკრა - დტსუ-ში სადოქტორო სწავლების პროგრამაში - საკონკურსო საბუთების წარდგენის გზამკვლევი, ა. შ.

ხუ სამსახურის მხრიდან საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა და გრძელდება რეკომენდაციების მიწოდება და მის დანერგვაზე მონიტორინგი.